მცხეთის სამედიცინო ცენტრი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
პირველ მოადგილეს, ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2021 წლის 23 მარტის N01/4126 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

მოგეხსენებათ, რომ შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი" 2020 წლის აპრილიდან წარმოადგენს ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის სამართავად მობილიზებულ კლინიკას, ანუ ფაქტიურად ერთი წელია მხოლოდ და მხოლოდ ცხელების და კოვიდ პაციენტებს იღებს. დაწესებულებაში 2020 წლის აპრილიდან აღარ ხდება მულტიპროფილური სამედიცინო სერვისების მიწოდება, შესაბამისად დასაქმებულია მხოლოდ ის სამედიცინო პერსონალი რომელიც საჭიროა ახალი კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების სამართავად. გამომდინარე იქედან, რომ 05 აპრილამდე დარჩენილია მხოლოდ 12-13 დღე, შეუძლებელია ვუზრუნველყოთ სამედიცინო პერსონალის იმგვარად მობილიზება, რომ შევძლოთ მულტიპროფილური სერვისების სრულყოფილად აღდგენა, სადაც ასევე გარანტირებული იქნება მომსახურების ხარისხი.

თქვენთვის ასევე ცნობილია, რომ 2021 წლის მარტს ერთი მხრივ სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს და მეორე მხრივ შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრს" შორის გაფორმდა ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება 2021 წლის 05 თებერვლის #219/2021 ხელშეკრულებაში, სადაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა გამოთავისუფლებული საწოლების (143 საწოლი) შესყიდვის შესახებ განისაზღვრა 2021 წლის 01 მაისამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა და დარჩეს ცენტრი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის სამართავად მობილიზებულ კლინიკად 2021 წლის 01 მაისამდე. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ მზად ვართ 2021 წლის 05 აპრილიდან 2021 წლის 01 მაისამდე შევამციროთ კოვიდდადასტურებული და ცხელების მქონე პაციენტების სამართავად მობილიზებული საწოლფონდი 32 ერთეულით, 111 სტაციონარულ საწოლამდე, თუ რათქმაუნდა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა მოგვცემს საშუალებას.

იმედს ვიტოვებთ, გათვალისწინებული იქნება ჩვენი თხოვნა.

პატივისცემით,

დირექტორი: **ნიკოლოზ ჭელიძე**

24.03.2021წ.

შპს "მცხეთის სამედიცინო ცენტრი" * "MTSKHETA MEDICAL CENTER" LTD * 401993508

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი"
ქ. მცხეთა, 3300, სამხედროს ქუჩა №20
ტელ: (+995 32) 2 24 42 40 / 2 24 42 41 / 2 24 41 43
www.mmc.com.ge